მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი (აბი) №7 (381) (5773) 2013

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ



„თქვენ ებრაელი ხალხის ნამდვილი მეგობარი ხართ“, - განაცხადა ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დროს, რომელიც იერუსალიმში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

შეხვედრა ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს შორის, რომელიც გაიმართა 24 ივნისს, ბიძინა ივანიშვილის ისრაელში ვიზიტის პირველი დღის ძირითადი ღონისძიება გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ის არის ყველაზე მაღალჩინოსანი ქართველი სტუმარი იერუსალიმში ორმხრივ ურთიერთობებში კრიზისის შემდეგ, რომლის მიზეზიც გახდა 2010 წელს საქართველოში 2 ებრაელი ბიზნესმენის დაპატიმრება.

„თქვენ ჩამოხვედით ისრაელში, რომელიც არის ჭეშმარიტი მეგობარი საქართველოსი“. ჩვენ ქვეყნებს აკავშირებთ დიდი ხნის კარგი და მჭიდრო ურთიერთობა, — განაცხადა პერესმა და მადლობა გადაუხადა ივანიშვილს, რომ ის ზრუნავს ებრაულ დიასპორაზე საქართველოში. „თქვენ ებრაელი ხალხის ნამდვილი მეგობარი ხართ“ — დასძინა მან. ივანიშვილს სურს ებრაელებმა მიაღწიონ „დამსახურებულ მშვიდობას“ მეზობლებთან. მან მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამას. „ებრაელი ერი იმსახურებს მშვიდობას“, — ხაზგასმით აღნიშნა ივანიშვილმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა მივმართოთ ძალისხმევა, რომ უზრუნველვყოთ ისრაელში მშვიდობიანი ცხოვრება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე**, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში **კონსტანტინე სურგულაძე**, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** და საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი **გიორგი პერტაია**.

„Izrus“

EMBASSY OF ISRAEL
TBILISI

שגרירות ישראל
טביליסי

პრეს რელიზი (26 ივნისი, 2013)

ისრაელის პრემიერ მინისტრის ოფისის განცხადება საქართველოს პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის ვიზიტთან დაკავშირებით

პრემიერ–მინისტრმა ნეთანიაჰუმ პატივისცემა გამოხატა ორ ქვეყანასა და ერს შორის არსებული ბრწყინვალე ურთიერთობისა და საქართველოში ქართველი ებრაელების 26 საუკუნოვანი ისტორიის მიმართ. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ქართველ ებრაელებს დიდი წვლილი მიუძღვით ორი ერის ისტორიული ურთიერთობის ჩამოყალიბების საქმეში.

შეხვედრის დროს პრემიერ მინისტრებმა ნეთანიაჰუმ და ივანიშვილმა ქვეყნებს შორის ორმხრივი დიალოგის გაძლიერების სურვილი გამოხატეს როგორ პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში.

პრემიერ – მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნებს შორის უნდა გაძლიერდეს კონსულტაციები სამინისტროების, პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუციების დონეზე, რათა დაცული იქნას საერთო ინტერესები, მათ შორის, უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა და რეგიონული სტაბილურობა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილება და ტერორიზმთან ბრძოლა.

პრემიერ–მინისტრებმა ასევე გადაწყვიტეს, შეიქმნას ერთობლივი ეკონომიკური კომისია, რომელიც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას შეუწყობს ხელს. პრემიერ – მინისტრები კომისიის თავმჯდომარეებად საგარეო საქმეთა მინისტრებს დანიშნავენ.

პრემიერ მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობაში არსებული თანამშრომლობა და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ ამ სფეროში შესაბამისი შეთანხმებები უნდა განახლდეს და გაღრმავდეს. პრემიერ–მინისტრებმა კმაყოფილება გამოხატეს მთავრობათაშორისი კულტურული თანამშრომლობის 2013–2015 წლის პროგრამის მიმართ.

პრემიერ– მინისტრებმა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების, რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი ერთგულებაზეც ისაუბრეს.

პრემიერ–მინისტრები სრულად ემხრობიან თანამშრომლობის გაზრდას საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში და სამომავლოდ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე ისაუბრეს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საქართველოდან რეპატრირებულ ებრაელებთან თელ-ავივში, სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა. შეხვედრა, რომელსაც ქართული დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო, თბილ და მეგობრულ გარემოში წარიმართა. სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით ისაუბრა ქართულ-ებრაული მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე.

„ჩემო საყვარელო ხალხო, დიახ, ჩემო საყვარელო ხალხო, მე დიდი ხანია ვცდილობდი, ჩემი სიყვარული მეჩვენებინა ყველაზე ნიჭიერი ერისთვის და მგონი, ეს მოვახერხე. ეს ვიგრძენი დღეს, ოფიციალურ დონეზე, მაგრამ განსაკუთრებით ვიგრძენი თქვენთან შეხვედრაზე. რამდენი სითბო და სიყვარული მოდიოდა თქვენგან. ცალმხრივი სიყვარული არ არსებობს, ცალმხრივად შეიძლება მხოლოდ ბრიყვს უყვარდე და ასეთ სიყვარულს ფასი არ აქვს. თანაც ებრაელს ვერ მოატყუებ, ჯობია არც ეცადო. ჭეშმარიტად მიყვარხართ და ვიგრძენი, რომ თქვენამდე მოვიტანე ეს მუხტი. თქვენ იმსახურებთ ჩემ დიდ სიყვარულს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მივიღე საპასუხო. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კიდევ უფრო გავაღრმავო მეგობრობა და სიყვარული ამ დიდებულ ერთან. დღეს, ჯამლეტი მეუბნებოდა ხუხაშვილი: „ვიცი, რომ შენ ებრაელები გიყვარს, მაგრამ სხვებიც ხომ გიყვარსო?“

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

მე ვუთხარი კი, სხვებიც მიყვარს და ძალიან მიყვარს ხალხი, მაგრამ მე ადამიანებს ნიჭიერებით ვარჩევ და რა ვქნა, თქვენში ერთეულები არა, მასა ხართ ნიჭიერი, ამიტომ მასიურად მიყვარხართ და ამიტომაც გამოვარჩიე ეს ერი. ის, რომ ებრაელები ნიჭიერები ხართ, ეს ჩემი აღმოჩენა არ არის, თქვენმა ერმა ეს მთელ მსოფლიოში დაამტკიცა, თითოეულ ქვეყანაში სადაც გნებავთ, ყველგან მაგრად არიან და ყველაგან მაგრად დგანან, ყველგან დაამტკიცეს, დაასაბუთეს ნიჭიერება, მაგრამ მე ჩემს ქვეყანაზე ვისაუბრებ და სულ სხვაგვარად გავუსვამ ხაზს თქვენს ნიჭიერებას.

საქართველო, მოგეხსენებათ, მრავალეროვანი ქვეყანაა, ჩვენთან ბევრი ერი ცხოვრობს და ჩვენ მათ პატივს ვცემთ, მაგრამ მე ბავშვობიდან ვიცი და ასევე იცის ყველა ქართველმა, რომ არც ერთ ერს ისე არ შეყვარებია ქართული კულტურა, არც ერთ ერს ისეთი ღრმა პატივისცემა არ გამოუხატავს და ამავდროულად, ვერც ერთმა ერმა ვერ შეძლო დაეცვა საკუთარი კულტურა, თუნდაც ჩვენთანაც კი. როგორი ნიჭიერები ხართ აბა, ნახეთ, როგორ კარგად იცავდით თქვენს ისტორიას, კულტურას და ამავდროულად, როგორ ღრმად დაეუფლეთ ქართულ კულტურას. ვერავინ მსგავსი რამ ვერ შეძლო ქვეყანაზე. თქვენ მოახერხეთ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად გაფურჩქნულიყავით და დამდგარიყავით მაგრად. თუ გინდ ის რად ღირს, რომ ასეთ სამყაროში, სადაც ახლა ხართ, შემოხვედით და საოცრება მოახდინეთ 47 წლიდან მოყოლებული. საოცარია, რომ გაივლი და უყურებ ამდენ განახლებულ, გალამაზებულ გარემოს.

თქვენ უსასრულოდ ძლიერი და ნიჭიერი ხალხი ხართ და ძალიან მიხარია, რომ ძლიერდებით საკუთარ ისტორიულ მიწაზე. მინდა გისურვოთ მშვიდობა, რასაც თქვენ იმსახურებთ, რასაც იმსახურებს ებრაელი ხალხი, რომ საკუთარ მიწაზე მან მშვიდობიანად, უსაფრთხოდ იცხოვროს. ამას გისურვებდით პირველ რიგში. არ დაგიმალავთ, დღეს დავდივარ იერუსალიმში, თელ-ავივში და რაღაც სულ ნაღველს ვგრძნობ, ჩემ თავს რამდენჯერმე შევეკითხე, რა ხდება და გამოვიცანი, როდესაც თქვენ გნახეთ. ძალიან მიხარია, რომ თქვენ ხართ ისტორიულ მიწაზე, მაგრამ ძალიან გვაკლიხართ საქართველოში. იცოდეთ, რომ ძალიან მოსაწყენია თქვენს გარეშე საქართველოში ცხოვრება, რომ საქართველოში გელოდებიან და ძალიან უყვარხართ. მე ეს ვიგრძენი ჩემი მოგზაურობის დროს არჩევნების პერიოდში. ყველა კუთხე-კუნჭულში გელოდებიან და ჭეშმარიტად უყვარხართ ქართველ ერს. ჩვენ ჭეშმარიტად ძალიან ბევრი გვაქვს საერთო და ყველაზე მეტი, რასაც მე ვხედავ იქნება ამ უწყვეტ კულტურაშიც იყოს საიდუმლოება. თქვენ, ალბათ უფრო ბებერი ერი ხართ, მაგრამ ქართველებიც საკმაოდ ბებერი ერია და ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა ცხოვრებამ საერთოდ და შემდეგ უკვე 26-საუკუნოვანმა თანაცხოვრებამ განაპირობა ის, რომ უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი და არასდროს ჩვენში ელემენტარული გაუგებრობაც კი არ მომხდარა. ბედნიერი ვარ, დღეს რომ ამხელა ემოცია, ამხელა მუხტი მივიღე, ისეთი, როგორიც არცერთ შეხვედრაზე არ მიმიღია. იცოდეთ, რომ ძალიან მიყვარხართ და ყველაფერი საპასუხოდ გამაჩნია. მოგესალმებით ყველას, მივესალმები კონგრესის პრეზიდენტს და გაბრიელს კიდევ ერთხელ ვეტყვი დიდ მადლობას ამ შესანიშნავი შეხვედრის მოწყობისთვის. მე ყოველთვის გელოდებით თქვენ.

გაბრიელს ვუთხარი თბილისში სინაგოგიდან რომ გამოვდიოდით: უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ებრაელები– თქო. არა, მაგას ნუ ამბობ, როგორც იქნა, ისტორიულ მიწაზე ჩავედით, მეორე მოქალაქეობა თქვიო, – მირჩია. გასაგებია და ჩვენ ამას მივესალმებით, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ დაბრუნდეთ, ის სითბო მიიღოთ თქვენი მეორე სამშობლოდან, რასაც საუკუნეების მანძილზე იღებდით. უზომოდ მიყვარხართ და გელოდებით საქართველოში.

ძალიან დიდი მადლობა!

პრემიერი ბიზნეს-ფორუმზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისრაელში ვიზიტი დაასრულა. ვიზიტის ბოლოს ბიძინა ივანიშვილი საქართველო-ისრაელის ბიზნეს-ფორუმს დაესწრო. მან თავის გამოსვლაში ვიზიტის შედეგები შეაჯამა და განაცხადა:

„ეს იყო იმაზე მეტი, რასაც მეც კი ვერ ვგეგმავდი. მე მოვახერხე ჩემი რეალური ემოციების და დამოკიდებულების გადატანა პოლიტიკურ დონეზე. ეს მოხერხდა გუშინ შეხვედრაზე, სადაც იგრძნობოდა ძალიან დიდი მუხტი, სითბო და სიყვარული, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა და გრძელდებოდა ქართველ და ებრაელ ხალხს შორის. ეს ემოციები კარგად იგრძნობოდა, წუხელ რესტორანში, ამავე შენობაში. დღეს მსგავსი ემოციებით გამოვედი პრემიერ-მინისტრის შეხვედრიდან, რომელიც დაგეგმილზე ორჯერ მეტი ხნით გაგრძელდა, 1 საათი და 45 წუთი ვისხედით. გარწმუნებთ, რომ ჩვენ მოვახერხებთ ორი სახელმწიფოს პოტენციალის რეალიზებას, რომელიც ჩვენს ისტორიულ თანაცხოვრებაში იყო და არასდროს ერთი შავი გაელვებაც კი არ ყოფილა ჩვენს შორის. მოვახერხებთ, რომ ამ პოტენციალის რეალიზება მოვახდინოთ პრაქტიკაში. მე ამის დიდი იმედი მქონდა და ამ შეხვედრების შემდგომ დავრწმუნდი, რომ ჩვენ ამას შევძლებთ ძალიან მოკლე დროში და ამას დაინახავს მთელი მსოფლიო. თქვენთვის ძირითადი ისაა, რომ ეს გააიოლებს ბიზნესის კეთებას. მსგავსი სითბო და სიყვარული ელოდებათ ებრაელ ბიზნესმენებს საქართველოში, ისევ როგორც თავიანთ სამშობლოში. რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვები ძალას კარგავს თუ ცოტა უკან გავიხედავთ და ბოლო 9 წლის საქართველოს ვნახავთ — დამოკიდებულებას რაც ბიზნესთან იყო, მაგრამ გარწმუნებთ ეს არ ყოფილა გამორჩეულად ებრაელი ან სხვა რომელიმე ბიზნესმენის მიმართ. კიდევ უფრო უხეშად და მკაცრად ექცეოდნენ ქართულ ბიზნესს. ეს იყო საერთო დამოკიდებულება. გამორჩეული არავინ ყოფილა, ჩვენი ხელისუფლება ცდილობდა, რომ ბიზნესი თვითონ ემართა, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ბიზნესმენის მენტალობას და ფსიქოლოგიას. მას, ვინც ფული იშოვა, არ სჭირდება სხვისი ჩარევა. თუ იცით რომელიმე სახელმწიფო, სადაც თავისუფალია ბიზნესი და სახელმწიფო ჩინოვნიკი ვერ გაბედავს კერძო ბიზნესში ჩარევას, გარწმუნებთ, რომ საქართველო იქნება არანაკლები, ნებისმიერ საუკეთესო ქვეყანაზე და ვერავინ ვერ ჩაერევა, ვერავინ ვერ ხელყოფს კერძო საკუთრებას საქართველოში. ეს ნება არსებობს და ამ მოკლე ხანში ბიზნესმა ეს იგრძნო. მაგრამ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ინვესტორს სჭირდება დრო გადაწყვეტილების მისაღებად, შერჩევა, შემდეგ ინვესტირება, აშენება და ა. შ. მაგრამ მე მგონია, რომ საწყისი პირობები საქართველოში არის იდეალური. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გააცნობიერებთ რეალობას და საინტერესო გახდება თქვენთვის ქართული ბაზარი და ქართული ეკონომიკა.

გარდა იმისა, რაც კლასიკურად განიხილება და რასაც საჭიროებს ბიზნესი, იმისთვის რომ ფეხი მოიკიდოს და განვითარდეს, გარდა ამ ბუნებრივი პირობებისა, მე მხედველობაში მაქვს თავისუფალი ეკონომიკა, კონკურენტუნარიანი გარემო და ჩინოვნიკი ვერ უნდა ბედავდეს ჩარევას, უნდა იყოს დახვეწილი და გასაგები კანონები. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განსაკუთრებული პირობებია, გნებავთ გადასახადების მხრივ, გნებავთ სისწრაფის მხრივ, კომპანიის განვითარების მხრივ. რაც წინა ხელისფლებამ გააკეთა, ეს იყო ძალიან დაბალი გადასახადები, ის რომ სწრაფად შეიძლება ბევრი მანიპულირება, რაც ბიზნესმენს სჭირდება. ეს ყველაფერი გაკეთდა წინა ხელისუფლების პირობებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ მუშაობდა. ხელისუფლება ტოტალურად ახერხებდა გაეკონტროლებინა ბიზნესი. ახლა ეს ყველაზე დიდი სიმახინჯე მოშორებულია და ამაში დარწმუნება ბიზნესმენებს თავად შეგიძლიათ. ბიზნესმენს ვერ მოატყუებ, ის ძალიან კარგად გრძნობს სახელმწიფოს და მთავრობის დამოკიდებულებას. სხვა პოზიტივს, რაც იყო, ემატება ის, რომ ბაზარი არის განუვითარებელი, არ არის დატვირთული. მდებარეობა საქართველოს აქვს უნიკალური, ის, მართლაც გზაგასაყარზეა ევროპასა და აზიას შორის, სწორედ ამიტომ, ძალიან საინტერესოა. ამას გეუბნებით არა როგორც პოლიტიკოსი და მეთაური მთავრობისა, არამედ როგორც ბიზნესმენი. მე გეუბნებით, რომ საქართველოს ბაზარი არის ჭეშმარიტად საინტერესო, არა მხოლოდ იმისთვის, რომ იქ არსებულ ბიზნესში ჩაერთოთ მხოლოდ და არამედ ის, რაც მოდაშია დღეს, ტურიზმი თუ ჰესების მშენებლობა. ასევე საინტერესოა ნებისმიერი ტიპის საწარმოს დაფუძვნება საქართველოში. ყველამ კარგად იცით, რომ ბაზარი არაა დიდი, მაგრამ ლოჯისტიკისთვის ძალიან იოლია ჩვენი ადგილმდებარეობა. პრაქტიკულად მილიარდამდე მოსახლეობას შეიძლება მიწვდე თუ ქართულ ბაზარზე, საქართველოს ტერიტორიაზე გადაწყვიტე საწარმოს დაფუძვნება. ჩემი პირადი ინიციატივა იყო უცხოელი ბიზნესმენებისთვის „ხელოვნური“ დახმარება, „ბუნებრივ“ დახმარებას მე ვუწოდებ იმას, რომ სახელმწიფო მოწოდებული უნდა იყოს და ვალდებულად უნდა თვლიდეს, შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო. ჩემი ინიციატივით შეიქმნა ფონდი, რომელსაც დავარქვით „თანაინვესტორობის“ ფონდი. დაახლოებით 5 მილიარდი იქნება საწყისი თანხა და შეიძლება მეტიც, რამეთუ ძალიან სერიოზული კომპანიები და ფონდები შემოდიან თანადამფუძნებლებად. ამ ფონდის იდეა გახლავთ ის, რომ ნებისმიერ ინვესტორს, რომელიც ჩადებს ინვესტიციას საქართველოში, დახვდება მზა ადგილობრივი პარტნიორი ამ სახით. ფონდს ეყოლება მაღალკვალიფიციური, თანამედროვე და გამჭვირვალე მენეჯმენტი პრაქტიკულად ნებისმიერ სფეროში. თუ ვინმეს ექნება საინტერესო პროექტი, რა თქმა უნდა, რენტაბელურობაზე გათვლილი, ფონდი მას გამზადებულ პარტნიორად დახვდება საქართველოში. 25% -75% შეგვიძლია თანამონაწილეობა მივიღოთ ნებისმიერ თქვენ შემოთავაზებაში. ყველაფერი ეს ერთად აღებული მე დიდ იმედს მაძლევს, რომ საქართველო გახდება თქვენთვის საინტერესო, რათა აწარმოოთ იქ თქვენი ბიზნესი. გასაგებია ჩემი, როგორც მთავრობის ხელმძღვანელის პრობლემა. მე ვებრძვი და ეს დასამალი არაა, უმუშევრობას, ჩვენი დიდი გამოწვევაა ეკონომიკა და მრავალი დაუსაქმებელი ადამიანი. ეს შეიძლება თქვენთვის ნაკლებ საინტერესო იყოს. კვლავ დავამატებ, რომ თქვენ გექნებათ ძალიან თბილი დამოკიდებულება. ებრაელი ხალხი ჩვენ ჭეშმარიტად გვიყვარს, ვერსად ვერ ნახავთ მსოფლიოში მსგავს დამოკიდებულებას ორ ერს შორის, ამას ამტკიცებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება. დიდი იმედი მაქვს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მოგვცემს იმის საშუალებას, ხელიხელჩაკიდებულებმა განვავითაროთ ორივე ქვეყანა. პოლიტიკურ მიღწევებზე აღარ შეგახსენებთ, მსგავსი მოლაპარაკებებით დასრულდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან დღეს და ჩვენ გადავწყვიტეთ უსაფრთხოების საკითხშიც და ყველა სხვა სფეროშიც ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდეს, ვიყოთ პარტნიორი ქვეყნები.

ძალიან დიდი მადლობა!

ბიძინა ივანიშვილი გოდეგის კედელთან

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია

იცხაკ დავიდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „მ“ №6)

თანიასეული მისტიციზმის „რაცო-ვა-შოვ“ (მიქცევ-მოქცევა) ურთიერთშემავსებელი ცნებებია. ესაა უცილობლად ადამიანური მიკროკოსმის მირწყმის ბრწყინვალე ილუსტრაცია ღვთაებრივ მაკროკოსმთან ანუ იმ პოტენციალის ძირითადი ფსიქოლოგიურის, წარმოჩენის მაგალითი, რომელიც საშუალედოს ახასიათებს.

როგორც ლა-ის 26-ე თავის შინაარსი გვაცნობს, ადამიანი განგებას ისევე უნდა უმადლოდეს ცუდი, უარყოფითი, დამანაღვლიანებელი მოვლენებისათვის, როგორც სიკეთისა და ბედნიერი შემთხვევისათვის უმადლის და კურთხევას სწირავს. რატომ? – ისმის საკმაოდ მართებული საკითხი, - მიშნა-ს ბერახოთ-ის ტრაქტატის მეცხრე თავში ვკითხულობთ, რომ შემოყრილი უბედურება თუ სიავეც უზენაესი მფარველი სამყაროებიდან მომდინარეობდნენ. „გადაცმული“ გადაბრუნებული სახით და საბოლოო ჯამში მათგან ბედნიერება და სიკეთე აღმოცენდებიან.

შემდეგ ძირითად დებულებას თანია-ს მოძღვრებაში ღ-ის ერთადერთობისა და ქმნადობის ერთიანობის საკითხი შეადგენს. ლოგიკურად აანალიზებს და ეყრდნობა რა ლურიანულ კაბალას, შნეურ ზალმანი ნათლად აყალიბებს ციმცუმ-ის ანუ შეკუმშვის რაციონალურ კონცეფციას, ხაზს უსვამს ღვთაებრივი ენის იდენტურობას ყოფიერებით სუბსტანციასთან.

ადმორ შნეურ ლიადელისათვის ღვთაებრივი კანონვედრებანი ტრანსცენდენტალურნი არიან ადამიანს არ შეუძლია თავისი სუბიექტური მოსაზრებების მიხედვით განსაჯოს მათი ხასიათი და რაობა. მისი შეზღუდული გონება ვერ შესწვდება იმ სიღრმივ პერიპეტიებს, რომლებიც განსაზღვრავენ ვედრებათა, ერთის მხრივ, მისტიკურსა და მეორეს მხრივ, კი რაციონალურ ბუნებას.

რამბამმა თავის რიტუალურ გზამკვლევში“ ნათლად გამოავლინა 613-ივე ვედრების რაციონალური არსი. რ. შნეურ ზალმანი მზადაა მათი მიზანდასახულობა გარკვეული დიდაქტიკურ-ეთიკური მრწამსით შეავსოს ამასთან, უპირველეს მიზნად ვედრებათა არსებობისა ავტორი თვლის მათ ჭურჭლის როლში ფუნქციონირებას, რომლის მეშვეობითაც ადამიანი თავგანწირულია ღვთაებისადმი, გადალახავს თავის შეზღუდულობას და უსასრულობას ეფოფინება, ამდენადვე, შ. ზალმანი ადამიანში რწყამს როგორც ღვთაებრისადმი მორჩილებასა და შიშს, ასევე მის გონებისეულ, ცოდნის მიერ სამსახურს (შდრ. აბრაჰამ ბ. დიორ (12ს) - „სეფერ ჰაკაბალა“ ანუ „ეხ. ნიმშეხა კაბალათ თორათენუ... მი-მოშე...“ (როგორ წარმოვლინდა ჩვენი თორის მიღება (კაბალა) მოშე-სგან), გედალია იახიდე „შალშელეთ ჰაკაბალა“, „ემუნდა რამა“, რ. აბრაჰამ ბ. დიორ მეორე (1199)“ „კაბალათ ჰარა ბდ“, ასევე იხ. რ. აბა ბ. შელომო ბუმსლა „სოდ ჰანეშამა“ (1652) რ. ავრაჰამი (არიზა ლის მოწაფე) გალე რაზაია (17ს), დაწვრ. იხ. Jo. Chr. Wolf, Bibliotheca Hebrea, Hamburg, 1715, გვ. 22-30. რ. ავრაჰამ გალანტი (16ს) „ფერუშ“ „იარეახ იაკარ“ „კოლბოხიმ“ „ორ იეკარ-ოთ“. ასევე: რ. ელეაზარ ბ. იეჰუდა მიგერმიზა (ვურმსელი) (1240) „ადერეთ ჰაშემ“, „იორე ხატაიმ“ „ფერუშ‘ალ სეფერ იეცირა“, „სეფერ იიხუდ“, „იაინ ჰარეკახ“ „ალ. ჰანეფეშ“ „სოდე რაზაია“, „სეფერ როკახ“, რ. ელკანა ბ. იეროხამ (ავიგედურ) (1ს) „სეფერ ჰაფლია“ ვოლფ-ით რ. ელკანა იყო მამა რ. ნეხუნიასი (იხ. გვ. 198), რ. ბარუხ ჰამეკაბელ „ხოშენ ჰამიშფატ“ (დაერთო „სეფერ იეცირა-ს მანტუურ გამოცემას, იქვე იხ. გუტრნაის ნაწერები „სეფერ ჰათარშიშ“. ამსტერდამის ლოცვის გამგებელმა რ. დავიდმა დაწერა „სოდ იჰვჰ“.

იხ. ასევე ჰაი გაონი (997) „ფითრონ ხალომთ. რ. ჰაი ბარ დავიდი (888) ზეხარია ჰასეფარდი „ტეტრაგრამატონის 72 სახელი ახსნა და მაშიახის მობრძანება (ვატიკანის ხლნწ. 1285). ზალმან რუნკელი „ხათან დამიმ“ და ა.შ.

იხ. აგრეთვე გ. შოლემ. ბიბლიოგრაფია კაბბალისტიკა 1927. გ. ჰუნდერტის, ი. დორფმანის, ნ. შტერნ-ჰარცის, მ. პრაგერის, ს. გინცბურგის. ი. ბერნჰარტის, ჰ. ენნელოუს. ი. მანნ-ის. მ. გასტერის. ალ. მარქსის, ხ. ბლოხის, ი. კოხის, ს. ნეიჰაუზენის, კ. პრეისის, ა. სილვერის, მ. გეორგ ლანგერის, ი. ვახტერის, ა. პეშელის, ი. აბელსონის, ა. აპტოვიცერის, რ. მარგულისის, ე. ცვეიფელის, ტ. ისანდერის, ი. ვეისის, ი. ვერფელის , მ. ტეიტელბაუმის, ხ. შმერკუის, ე. ჩერიკოვერის.

როცა ებრაეულ მისტიურ ფილოსოფიაზე ვლაპარაკობთ შნეურ ზალმან ლიადელის მოძღვრებასთან მიმართებაში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. დიალექტიკური დინამიზმის პრინციპი – ცერუფიმ. 2. სულის საფეხურებრივი–სტუქტურული გრადაციის პრინციპი. 3. უსასრულობიდან სასრულისაკენ დაშვების პრინციპი. – ციმცუმ. 4. ეროტიული ინტერნფერენციის პრინციპი – იბბურ. მატრონა. შეხინა. 5. კოლ ჰადმამა – ექსტრა-სენსორული უნარი დუმილის ხმის წვდომისა. 6. ტრანსსექსუალიზაცია ბიბლიაში. 7. ლინგვისტურ-ფონეტიკური ტრანსფორმაციის საკითხი. 8. მისტიკური სიონიზმი (რიშბ’ი-ს მოძღვრება). 9. პრაქტიკული წინასწარმეტყველების სახელმძღვანელო პრინციპები. 10. ასტროლოგია და კოსმოლიგია.

ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში, და მას თვალნათლივ ქადაგებს ადმორ შნეერსონისეული მოძღვრება. დაუბრუნდება ერეც-ისრაელი თავის უწინდელ მდგომარეობას, ყველა „საკუთარი მცხოვრებითურთ“ უფრო მეტიც, იგი გაცილებით მტკიცესა და დიდ მთლიანობას მიაღწევს, რომელშიც ჩაერთობიან ათი ერნი (ესერ უმოთ). ნათქვამს ალეგორიული მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ პირველი შვიდი ერი მიანიშნებს შვიდ ემოციურ-შეგრძნებით თვისებაზე (მიდოთ), რომელსაც უნდა დაემატოს სამი საზრისერი ძალა. სულ ათი ატრიბუტი.

ასევე ადმორ იოსეფ იცხაკ შნეერსონის ნაწერებში, აქვე ვათავსებთ ადმორ შნეურ ზალმანის თხზულებათა სრულ ებრაულ ბიბლიოგრაფიას.

ღრმად შთამბეჭდავია ადმორ მ. მ. შნერსონის დებულება ხაბადური ხასიდიზმის როლსა და განსაზღვრებაზე. მისი აზრით, ესაა ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობა, რომელიც ისრაელის ძირითად მიზანს შემქმნელსა და შექმნილს შორის ერთიანდება – კავშირის დამყარებაში ხედავს. ადამიანი „ზენაარსთა“ და „დედამიწის“ წარმონაქმნია. ღვთაებრივი ციური სულით. გარშემოსილი მიწიერ ჭურჭელში. რაც ფიზიკური სხეულისა და ცხოველური სულისაგან შედგება, რომელთა მიზანს საკუთარი ბუნების ერთიანობისა და ტრანსცენდენტურობის მიღწევა შეადგენს.

ზემოთქმული ხორციელდება ორი მიმართულებით: 1. ზემოდან ქვემოთკენ ღვთაებრივი სიწმინდისა და თორა-ვედრებების მოზიდვით. 2. ქვემოდან ზემოთკენ სულიერი თვით-აღზევების საშუალებით, რომლის მთავარ საშუალებას ადამიანური ენა და კომუნიკაცია წარმოადგენენ.

ამდენად, მსოფლიოს რომელ ენაზეც არ უნდა ხორციელდებოდეს ღვთისმსახურება, ან იკითხებოდეს ისეთი ფილოსოფიური ნაწარმოებები, როგორიცაა „თანია“, — იგი ყოველთვის იქნება აღქმული შემსწავლელის მიერ და განგების მიერაც იქნება შენდობილი.

ადმორი შნეურ ზალმანი, მთელი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა თანია-სა და მისი შემდგენელი ნაწილების (სულ ხუთი) შედგენაზე და მთელი თავისი ინტელექტუალური მცდელობა ჩააქსოვა თავებისა და გადმოცემული შინაარსის ისეთ ჩამოყალიბებას, რომ მძებნელი, დაბნეული, შესაძლოა გზასაცდენილი ადამიანიც კი, ადვილად მოახერხებს მასში გარკვევასა და მისით ხელმძღვანელობას. ამ მხრივ, ლიადისეული თანია მაიმონიდისეული „სახელმძღვანელოს ანალოგიურად იქცა. მათ, როგორც შესანიშნავ მოაზროვნე-ფილოსოფოსებს და მათსავე წიგნებსაც ხომ თითქოს ერთი ბედი დაჰყვათ. ორთოდოქსული რაბინული წრეები ჰკიცხავდნენ და ქირდავდნენ რამბამს მე-12ს-ში, ხოლო შნეურ ზალმანს მე-18ს-ში, მათ წიგნებს კი კრძალავდნენ.

მაიმონდისა და შნეურ ლიადელის საერთო თეოსოფიურ მსოფლმხედველობით მნიშვნელს, სწორედ ებრაული კანონმდებლობითი რაციონალიზმისა და მისტიურ-ზესაზრისიერი მესიანიზმის მორიგება შეადგენდა და ამ მხრივ ორივეს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ორივესათვის კაბალა, თორის შიდა, ორიგინალურსა და ეზოთერულ განზომილებას ანუ მის შინაგან სულს შეადგენდა. ეს იყო ფაქტიურად ერთიდაიგივე მონეტის ორი სხვადასხვა მხარე: ფიზიკური და მეტაფიზიკური, მათი პოლარულობა და დაპირისპირება მხოლოდ გარეგნულია და მოჩვენებითი, ისინი რეალურად ყოველთვის ერთიანობას და შემქმნელის ერთადერთობას ასახავენ.

შნეურ ზალმანი ადამიანის ინდივიდუალურ შემცველობას მესიანისტურ-ფსიქოლოგიური ასპექტებიდან უდგება. იგი პერსონოლოგიურად აანალიზებს იმ გონით-საზრისიერ მდგომარეობებს, რომელთაც უშუალო გავლენა და წიაღსვლები გააჩნიათ ერთიანობასა და კოსმიურ წყობაზე, რასაც უცილობლად მივყავართ ღვთაებრივი ერთიანობის შემეცნებამდე, ამ მიზნით იგი რამდენიმე საქმიან წინადადებასაც იძლევა შეგრძნებითი სტაბილურობისა და შინაგანი ჰარმონიის მისაღწევად. ავტორის რწმენით, ინტელექტუალური გზით მოპოვებული რწმენა ჭეშმარიტი სიხარულის გამომწვევია, რათა შეიმეცნოს და შეიცნოს სამყარო, მისი შინაგანი არსი, მისი სტრუქტურული მთლიანობა, ადამიანმა ჯერ თავის თავი უნდა შეისწავლოს, შეიცნოს, დაეუფლოს მას, მის თვისებებსა და მთლიან შემცველობას, რადგანაც იგი – ადამიანი სხვა არა არის რა თუ არ შემცირებული, შეკუმშული, ლურიანული ცნება – ტერმინი რომ ვიხმაროთ, და – ციმცუმ – ებრაული სახე თუ ფორმა სამყაროსი.

შნეურ ზალმანთანაც, შექმნა, ქმნადობა განიხილება ვითარც ღმერთიდან ადამიანისაკენ მიმავალი, მიმართული მიზანსწრაფული პროცესი, ხოლო სრულყოფა-განხორციელება მიჩნეულია ადამიანიდან ღ-ისაკენ მიმართულ პროცესად.

ამასთან, ღ-იდან ადამიანისაკენ მიმართული პროცესი სულიერის განივთების, მატერიალიზაციის პროცესია და პირიქით, ადამიანიდან ღ-ისაკენ მიმართული პროცესი ნივთიერის, მატერიალურის გასულიერების ანუ სპირიტუალიზაციის პროცესს შეადგენს. ამდენად, როგორც „თანიას“ თანამედროვე კომენტატორები მიუთითებენ, ადამიანსა და ღ-ს შორის არსებობს გარკვეული ერთიანობა ინტერესებისა, რაც მათი შემადგენელი ბუნების იგივეობაზე მიუთითებს.

ადამიანური ქმედებანი გარკვეული ზნეობრივი კოდექსიდან უნდა გამომდინარეობდეს, რადგანაც წმინდა და კეთილი იდენტურნი არიან, ადამიანი სიცოცხლისეულ მიზანს დედამიწაზე შემქმნელთან თვით-გაიგივება წარმოადგენს. ამასთან მის მუდმივ ამოცანას შეადგენს ამ სამყაროს შემზადება-გადაქცევა შეხინის, ანუ ღვთაებრივი განფენილობის მოსავანებლად და დასასადგურებლად.

ადამიანური ცოდნა, შნეურ ზალმანით შეზღუდულია, მაგრამ განვრცობადიც, ადამიანი უნდა ისწრაფოდეს შეიმეცნოს ღვთაებრიობა საკუთარი საზრისიერი და ინტელექტუალური ზღვრების მიჯნამდე, რომლის მიღმაც კი უნდა იწამოს ის, მარტივი, უბრალო რწმენით. ე. ი. სახეზეა შემეცნება-შეწვდომის მაქსიმუმი, რომელსაც მოჰყვება რწმენა, ვითარცა ატრიბუტულად შემადგენელი ფენომენი.

აი, სწორედ ესაა ცოდნისა და რწმენის დიალექტიკური სინთეზის არსი, რომელსაც მსოფლიოს ყველა დროისა და ყველა ერის არაერთმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ყველამ როდი გაართვა მას თავი წარმატებით. შნეურ ლიადელმა მოახერხა ხსენებული. საკვანძო დიალექტიკური პრობლემის ამოხსნა იმიტომაც, რომ მან შესანიშნავად გამოიყენა ღმერთისა და ადამიანის საურთიერთო უკუქცევითობის პრინციპი – დაღმავალი მატერიალიზაციისა და აღმავალი სპირიტუალიზაციის გზა.

ზემოხსენებულს მჭიდროდ დაუკავშირდა ადამიანისეული მონანიების ანუ „ცოდვის ხელიდან შემობრუნების, მოქცევის“ (თეშუბა) საკითხი, რაც ჯერ კიდევ ხასიდიზმის უდიდესმა ფუძემდებელმა რაბი ისრაელ ბალშემ ტოვმა მოიაზრა და დაასაბუთა. მისი შეხედულებით, ნამდვილი მონანიება, მოჩვენებით-ხელოვნურ რიტუალურ აქტებს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ ფსიქოლოგიურად და საზრისიერად შესაძლებელ მონანიებას, რომელიც მუდამ და განუწყვეტლივ უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის ცნობიერებაში.

დასასრულს, არ შეიძლება განსაკუთრებული მადლობისგებით არ მოვიხსენიოთ ჩვენი მეგობრები და კოლეგები, რომელთა საზოგადოებრივი და ტექნიკურ-ორგანიზაციული დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წინამდებარე ფილოსოფიურ-მისტიკური ნაწარმოების ქართულენოვანი თარგმანის შესრულება, გამოცემა და დასტამბვა.

აქვე გვსურს დავძინოთ, რომ თარგმანი და თანდართული გამოკვლევანი, მომზადდა და განხორციელდა, ჩვენს მიერ ნახელმძღვანელებ კავკასიოლოგიურ ცენტრსა და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო ასოციაციის ჩარჩოებში, რომელთა თანამშრომლებსა და წევრებს გულითად მადლობას მოვახსენებთ.

გაგრძელება იქნება

საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ 2012 წ. №14,15,16-17; 2013 წ. №1,2,3,4)

გურამ გათიაშვილი

ზემოთ ვისაუბრე რამდენიმე ადამიანზე, რომლებთანაც სემ კონგრესის თანათავმჯდომარეობის წლებში (2003-2012) მქონდა ურთიერთობა. მინდა გავაგრძელო:

იშვიათად მინახავს ისეთი გამრჯე ქალი, როგორიც ცისანა შამირია. იგი კონგრესის თანამშრომლადაც კი ითვლებოდა—ქ. ლუდის ფილიალს ხელმძღვანელობდა, ამიტომ ხშირი ურთიერთობა გვქონდა. ზემოთ აღვნიშნე და მინდა მკითხველს შევახსენო: 2003 წელს კონგრესის გაზეთის — „საქართველოს ებრაელობის“ გამოცემა რომ დავიწყეთ, ცისანა გვერდაუვლელი პიროვნება გახდა — გაზეთს ოთხ ენაზე ვცემდით: ქართულ, ებრაულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ცისანა ქართულ ენაზე დაწერილ მასალებს ივრითულად გვითარგმნიდა. გამიგონია, ცისანა ჭირვეული ქალიაო (ქალის ჭირვეულობა გასაკვირი რატომ უნდა იყოს!) მე კი იგი დამამახსოვრდა, როგორც ერთობ პუნქტუალური ადამიანი — არ ყოფილა შემთხვევა, გაზეთი დაეღალატებინოს — მასალის თარგმანი დაგვიანებით გამოეგზავნოს. ამიტომ მისადმი მადლიერების გრძნობა დღემდე მომყვება. ცისანა ივრითულიდან თარგმნის კლასიკური მწერლობის ნიმუშებს, თარგმნის საკმაოდ კვალიფიციურად, აქვს სიტყვის გრძნობა, რაც მის თარგმანს ღირსებას მატებს. ამას გარდა, იგი ქართულიდან ივრითულად თარგმნის და როგორც ამას წინათ ივრითის კარგი მცოდნე მეუბნებოდა, საკმაოდ რიგიანად. შესაძლოა, ვინმემ გაკვირვება გამოთქვას: ცისანა ხომ თ.მამისთვალოვთან, გ. ბენ ორენთან, ა. მამისთვალოვთან ერთად აწერს ხელს სემ კონგრესის პრეზიდენტის მ. მირილაშვილისადმი მიწერილ წერილს (კონგრესის გაზეთი საქართველოში რატომ უნდა მზადდებოდესო), რომელმაც ესოდენ დესტრუქციული როლი ითამაშა ადამიანურ ურთიერთობათა გაუკუღმართებაში. მაგრამ ზემოთ, თუ ვისი დაწერილია ეს წერილი, იმასაც ვვარაუდობ, რომ ხელმოწერა ცისანას თავს მოახვიეს, ან კი მოაწერა საერთოდ ხელი?

მართალია, მან ამის თაობაზე არაფერი იცის, მაგრამ **ავთო აბრამიშვილმა** ფაქტიურად გამიადვილა კონგრესის საორგანიზაციო ჯგუფში ყოფნა. ავთო მიხო მირილაშვილის ქვისლია. საორგანიზაციო ჯგუფის სხდომაზე ავთო რომ დავინახე, დავმშვიდდი. კი, მართალია, დავით ქოენმა მიხო მირილაშვილის შემონათვალი გადმომცა: კარგი იქნება, თუ ამ საქმეს გვერდით დაუდგები და ბოლომდე მიიყვანთო, მაგრამ მაინც არ მასვენებდა ერთი საკითხი: ხვალზეგ უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდები, მიხოს დაწყებულ საქმეს მის გარეშე რომ ვაკეთებთ-მეთქი. საორგანიზაციო ჯგუფში ავთოს გამოჩენამ ეს შიში გამიქარწყლა: რომ არა მიხოს სურვილი, ავთო ამ საქმეში არ გაერეოდა-მეთქი. სხდომებში, რომლებსაც როგორც ზემოთ ითქვა, საღამო ხანს ვიწყებდით და გვიან ღამემდე გვიგრძელდებოდა, ავთო აქტიურად მონაწილეობდა. აქტიურობა განა იმაში გამოიხატებოდა, რომ თავად ლაპარაკობდა და სხვას მოსაზრებათა გამოთქმის საშუალებას არ აძლევდა. არა, სხდომებს ესწრებოდა, საკითხს გამოწვლილვით

განიხილავდა და თავის სათქმელს მოკლედ ამბობდა. ერთი ღამე განსაკუთრებით დამამახსოვრდა: საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი საბანს თავისკენ ექაჩებოდა — ეწადა არაკონსტრუქციული წინადადება გაეტანა, არ ვეთანხმებოდით, ჩვენს ხედვასაც ვუსაბუთებდით. ის კი ჯიუტად ცდილობდა საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. მაშინ ავთომ ერთობ კატეგორიული პოზიცია დაიჭირა — მკვეთრად უპასუხა ამგვარ ამბიციას და საკითხიც ამოიწურა.

კონგრესის სამუშაო კომისიები რომ ჩამოვაყალიბეთ, ავთო აბრამიშვილი საგარეო ურთიერთობათა კომისიას ჩაუდგა სათავეში, მაგრამ სამწუხაროდ, კონგრესთან მისი ურთიერთობა თანდათან შესუსტდა. ყრილობიდან ორი-სამი თვის შემდეგ კი თითქმის აღარ გამოჩენილა. ამის მიზეზი ჩემთვის უცნობია. იშვიათად ვხვდებოდი. მერე თბილისში ჩამოვიდა სამუშაოდ. აქაც იშვიათად ვხვდებოდი.

კონგრესის შექმნისთანავე მის ირგვლივ მრავალმა სასულიერო პირმა მოიყარა თავი. ბევრმა ხახამმა მოიწადინა, კონგრესთან ჰქონოდა საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა, ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ კონგრესის იდეა ყველამ – ქართველ ებრაელთა ყოველმა თაობამ — გაითავისა, მიიღო, ირწმუნა.

აქ იყო კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი გარემოება: ამ დროისათვის უკვე ასპარეზზე გამოდიოდა ქართველ ებრაელ სასულიერო მოღვაწეთა ახალი თაობა, თაობა, რომელიც საქართველოში დაიბადა, მაგრამ სწავლა-განათლება ისრაელში მიიღო. ან სულაც ისრაელში დაიბადა, აქ ისწავლა, რელიგიური ცხოვრების ასპარეზი აქ აირჩია.

სწორედ, ეს ახალი თაობა მოვიდა კონგრესში, ის ცდილობდა კონგრესის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვას და ეს ერთობ მისასალმებელ ფაქტად მიიჩნეოდა. მაგრამ გვერდაუვლელი, გამორჩეული პიროვნება მაინც **ხახამ რეფაელი** გახლდათ – ისრაელის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი. ამ გვერდაუვლელობაში არა-რა როლს არ თამაშობდა ის, რომ ხახამ რეფაელ ელაშვილი კულაშელი იყო, თითქმის კონგრესის პრეზიდენტის – მიშიკო მირილაშვილის კბილა, ერთად იზრდებოდნენ, ერთ სოფელში ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. ხახამ რეფაელი კონგრესის იდეის გაჩენამდეც ისრაელის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი გახლდათ და კონგრესის შექმნა მისმა ამ – მირილაშვილების – ოჯახისადმი კეთილგანწყობილებამაც განაპირობა. მას რომ თავი შეეკავებინა, ან ეთქვა „არა“, კონგრესი ალბათ, ვერ, ან გვიან შეიქმნებოდა. ასეთი გახლდათ მისი ავტორიტეტი ისრაელის ქართველ ებრაელობაში. (ერთხელ მიამბო, თუ როგორ მივიდა და შეუტია პრემიერ-მინისტრ იცხაკ შამირს იმის გამო, რომ შამირს აღარ ეწადა შეესრულებინა ეფრაიმ გურისადმი მიცემული სიტყვა – შეეყვანა იგი საპარლამენტო საარჩევნო სიის გამსვლელ ადგილზე. ხახამ რეფაელის ჩარევამ, საკითხი დადებითად გადაწყვიტა.) ეს ავტორიტეტი სათავეს მის განსწავლულობასა და ნიჭიერებაში იღებდა. ძლიერ ნიჭიერი პიროვნება იყო. არა მხოლოდ დიდი ცოდნა გააჩნდა, ამ ცოდნის გაზიარების, გადაცემის ხელოვნებასაც ჩინებულად ფლობდა, ამიტომ, მისი ცოდნა ღია იყო – გახსნილი, სახალხო. შეეძლო თავისი საუბრით, დარაშით — ქადაგებით მსმენელი მოეხიბლა და საჭირო თეზა მის გონებაში კარგად „ჩაედო“. მის პიროვნულ, პროფესიულ მომხიბვლელობაში მცირე როლს როდი თამაშობდა ის, რომ გააჩნდა იმპროვიზაციის დიდი ნიჭი. ჯერ კიდევ კონგრესის შექმნამდე რამდენიმე წლის წინათ, ბიზნესმენმა **რეზო გოთერაშვილმა** ჩემი თხოვნით თავს იდო მოეწყო ქართული კინოს კვირეული ისრაელში. კვირეულის დამთავრებისას ქ. ლუდში ვახშამი გამართა. შემიძლია ვთქვა, რომ იმ ვახშმის სული და გული ხახამი რეფაელი გახლდათ. როგორც იტყვიან, „პარადი მას მიჰყავდა“ და საქართველოდან ჩასული სტუმრები (კინორეჟისორები რევაზ ჩხეიძე, დევი აბაშიძე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელია, ამ სტრიქონების ავტორი) მოხიბლული ვუსმენდით. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმპროვიზაციას. იმპროვიზაციით, რეჩიტატივით, ზოგჯერ სიმღერითაც კი შთამაგონებელ ეფექტს აღწევდა და სათქმელი ძალიან კარგად მოჰქონდა მსმენელამდე. ეს მთავარი სათქმელი კი ღვთისეულ მცნებათა პრიმატულობა, უზენაესობა იყო – ხალხში მისი ქადაგება. ებრაელობის შემეცნებაში კარგად დამკვიდრებულ ღვთისეულ მცნებათა გადაცემაში თითქოს ახალი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიჭიერება ყოველთვის პოულობს გამოვლენის ახალ-ახალ საშუალებას. ასე იყო ხახამ რეფაელთანაც.

მახსოვს, 1994 წელს ნიუ-იორკში სტუმრობისას ხახამ რეფაელი რაოდენ მოხიბლული, აღფრთოვანებულიც კი, იყო ქვინსის ბეით ქნესეთში მისსავე მიერ აღზრდილი აბრამ აშვილის ღვთისმსახურებით. აბრამი უკვე დამკვიდრებული გახლდათ ქვინსში, დიდებული ავტორიტეტით სარგებლობდა. პირველად მაშინ მოვისმინე მისი ლოცვა და მოხიბლული დავრჩი.

ყოველდღიურობაში ვერ ვამჩნევთ, თუ როგორ ვიცვლებით. პირველად იქ — ქვინსში, ხახამ აბრამ აშვილის ლოცვის მანერაში შეეიცანი ჩვენი ბავშვობის, სიყმაწვილის დროინდელი ლოცვის ინტონაციები. როგორ დავშორებივართ მას, დროს რაოდენი ლექის ქვეშ მოუქცევია ის ინტონაციები, ლოცვის ის მანერა, რომელიც ბავშვობის წლებში ჩვენს საუკეთესო ხახამთაგან ჩაგვესმოდა. უცნაურია: თუ ტრადიციულის შენარჩუნებას, მერე მოსწავლეებისათვის გადაცემას ახერხებდა ხახამ რეფაელი, თუ აბრამ აშვილი ახერხებს ილოცოს ისე, როგორც ჩვენი წინაპრები, ჩვენ რატომ მოგვეძალა სხვა ინტონაციები?

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: დღეს ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთებში მლოცველთაგან ზოგჯერ გაიგონებთ პრეტენზიას მამა-პაპური ლოცვის წესი არ უნდა დავკარგოთო. სავსებით ვეთანხმები: მამა-პაპური ლოცვის წესი, ცხადია, არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რომელია ეს ლოცვის მამა-პაპური წესი. როცა დავუშვათ, ახალციხური წარმოშობის კაცი ამბობს ამას და თხოულობს ვილოცოთ ისე, როგორც ახალციხელები ლოცულობდნენო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ უნდა გავარკვიოთ ლოცვის იმ ახალციხურ წესში რა არის მთავარი და დამახასიათებელი ქართველ ებრაელთა ლოცვისათვის. ახალციხური ლოცვის წესი ხომ ოსმალეთის ებრაელობის ლოცვის წესით გახლავთ გაჯერებული, სწორედ ოსმალეთის ებრაელობისათვის დამახასიათებელი ინტონაციები ისმის. ახალციხის რეგიონი ხომ, ჩვენდა საუბედუროდ, საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახლდათ და მას ათგზის მეტი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან, ვიდრე ქართულ დაბა-სოფლებთან. აქედან გამომდინარე, არაფერია უჩვეულო იმაში, რომ აქ მომძლავრდა ყოფის ოსმალური წესი. ებრაელობა კი ახალციხის რეგიონის საკმაოდ ძლიერი და ორგანული ნაწილი გახლდათ — ისიც ისევე განიცდიდა ოსმალური ყოფის ექსპანსიას, როგორც მთელი რეგიონის მოსახლეობა. ახალციხის ებრაელობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის მეგაპოლისთან, მეგაპოლისი გავლენას ახდენდა ცხოვრების ყოველ სფეროზე, მათ შორის ლოცვის წესზეც.

სავარაუდოა, რომ ქართველ ებრაელთა ლოცვის წესი უფრო შემონახულია რაჭისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონების ებრაელობაში. რასაკვირველია, ამ მოსაზრებას ვარაუდის დონეზე გამოვთქვამთ და შორსა ვართ მტკიცების ფორმისაგან. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ამ რეგიონებში, განსაკუთრებით კი რაჭა-ლეჩხუმში ნაკლები გახლდათ უცხო სახელმწიფოთა ექსპანსია.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ჩვენს ისტორიკოსებს,

სასულიერო პირებს დიდი სამკალი აქვთ.

რით იყო მნიშვნელოვანი ხახამ რეფაელის მოღვაწეობა? ისრაელში თავმოყრილ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველ ებრაელობას მან მისცა ლოცვის ინტონაციის სწორი მიმართულება. ამ თვალსაზრისით ფრიად ბევრ საფიქრალს აღძრავს დისკი, რომელიც სწორედ სასულიერო პირთა ძალისხმევით სემ კონგრესმა თავისი არსებობის პირველ წლებში გამოუშვა. ამ დისკში მოქცეულ სადღესასწაულო ლოცვებში თვალხილულია ჩვენი ებრაელობის ლოცვის წესის არა მხოლოდ გუშინდელი დღე, ჩვენი დროც, ასე მგონია, ეს საკითხი დადგენის პროცესშია და იგი დგინდება არა ირანის, გნებავთ, ოსმალეთის ებრაელობის ლოცვის წესით, არამედ იმ ინტონაციებით, რომელიც დღეს ისრაელის ბეით ქნესეთებში მძლავრობს.

არ გამოვრიცხავ, რომ ვინმემ შემნიშნოს: ისრაელშიც ლოცვის სხვადასხვაგვარი წესია (იემენური, ირანული, სირიული) და სავსებით მართალიც იქნება, მაგრამ იმასაც დავძენ: ყური მივუგდოთ ლოცვის იერუსალიმურ წესს, ინტონაციას. ხახამ რეფაელი, ასე მგონია, სწორედ ამ გეზს მისდევდა და დღეს მის მოწაფეებშიც ეს ინტონაცია მესმის.

ამ მოსაზრების გამოთქმის უმთავრესი ამოცანა გახლავთ ის, რომ ყურადღება გამახვილდეს ამ საკითხზე, გახდეს იგი მსჯელობის საგანი, რათა გვქონდეს მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულება. ამ მიმართულებით, რამდენადაც ვიცი, ბარილანის უნივერსიტეტში მუშაობს რუბენ კაჟილოტი, მისი მოსაზრება საყურადღებო იქნებოდა.

1994 წელს მთელი კვირა ვისმენდი აბრამ აშვილის ლოცვას, შემდეგაც არაერთხელ მქონია ანალოგიური შემთხვევა და ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. ეს იყო არა ლოცვანთა მექანიკური ჩაკითხვა, ან რომელიმე ასე თუ ისე პოპულარულ მელოდიაზე ტექსტის მორგება, ვედრება უზენაესისადმი. მოგვიანებით აბრამი კონგრესის იდეის ერთ-ერთი მხარდამჭერი გახდა, რადგან დაინახა მისი პერსპექტივა. 2002 წელს კონგრესის დამფუძნებელი ყრილობის მომზადების წინ, ნიუ-იორკში რომ ჩავედი, საჯამაათო შეკრებაზე მოსულმა აბრამ აშვილმა, დალოცა კონგრესის შექმნის იდეა და იმ დღიდან კონგრესის მეგობარია. თითქმის არ მახსოვს, კონგრესის მიერ ჩატარებული ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ღონისძიება, ოკეანე რომ არ გადმოელახოს და მისი მონაწილე არ ყოფილიყოს. აბრამი მხოლოდ ჩინებული სასულიერო მოღვაწე როდია ამავე დროს საინტერესო მოუბარი და მასპინძელია. 2009 წელს, ნიუ-იორკში ყოფნისას, ჯემალ აჯიაშვილი და მე ღამის მანჰეტენის დასათვალიერებლად მიგვიწვია. ღამის გათენებამდე დავდიოდით მანჰეტენში, იმდენი საინტერესო რამ გვიამბო, გვაჩვენა, რომ მოხიბლული ვიყავით.

ვიდრე კონგრესი შეიქმნებოდა, ჯერ კიდევ სანკტ-პეტერბურგში შეხვედრისას გამოჩნდა, რომ ქართველ ებრაელთა ამ ახალ წამოწყებაში, რელიგიის საკითხები თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებდა. ამაზე მეტყველებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ **აარონ ხენი** საორგანიზაციო კომიტეტში შევიდა. იგი მიხო მირილაშვილის მიერ სანკტ-პეტერბურგში გამართულ პირველ შეკრებაზე აწგარდაცვლილ მეუღლესთან – იოხაბედთან ერთად ჩამოვიდა. იოხაბედი თავისი კეთილგანწყობით, მკვირცხლი აზროვნებით ყველას ყურადღებას იპყრობდა. აარონ ხენი კი სწორედ იმ საკითხებს წამოჭრიდა, რაც ზოგიერთისთვის გაუგებარიც გახლდათ. მის მიერ წამოჭრილი საკითხები კი ადასტურებდა, რომ აარონი კარგად იცნობდა პრობლემების იმ წრეს, რომელიც

სტრუქტურულად გამართულ თანამედროვე ებრაულ ორგანიზაციებში ტრიალებს. აარონი საკითხებს სადღეისო პოზიციებიდან განსჯიდა და ამიტომ იყო გაუგებარი ზოგიერთისათვის. კონგრესის ღონისძიებებზე ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც იშვიათი სტუმარი გახდა. აარონ ხენი ნიუ-იორკში ერთობ კეთილშობილურ საქმეს აკეთებს — ახალგაზრდობის აღზრდას უდგას სათავეში.

ერთხელ ნიუ-იორკში ყოფნისას, შაბათის შახრითის ლოცვისას, ბეით ქნესეთის ქვედა დარბაზში ჩავედი, აარონ ხენის აღსაზრდელები სწორედ აქ ლოცულობდნენ. ძალიან საამო სანახავი იყო ამდენი ახალგაზრდა ერთად შეკრებილი როგორ ადიდებდა ქვეყნიერების შემქმნელს, ამაში აარონ ხენის დიდი ღვაწლი დავინახე, მაგრამ პარალელურად შიშიც დამეუფლა – ეს ახალგაზრდები ხომ ზედა დარბაზში, თავიანთი ლოცვად დამდგარი, ღვთის მავედრებელი მამების გვერდით უნდა იყვნენ, ერთად უნდა ეწეოდნენ ღვთისმსახურებას! ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რაც აარონ ხენმა მოახერხა: ნიუ-იორკის ქართველი ებრაელი ახალგაზრდობა შემოიკრიბა, ასწავლა, სწორ გზაზე დააყენა, ამით იგი თაობის ლიდერადაც კი გვევლინება.

ამას წინათ „დავითის ფარში“ რეპორტაჟი წავიკითხე: ერთ სრულიად ახალგაზრდა კაცს ქვინსის ბეით ქნესეთში სეფერ თორა შეუბრძანებია. ამ აქციაში აარონ ხენისა და აბრამ აშვილის დიდი დამსახურება დავინახე. ნიუ-იორკის ჯამაათში უკვე გამოჩნდა ახალი თაობა, რომელსაც აქვს სურვილი, აკეთოს საჯამაათო საქმე და გახდეს უფროსი თაობის ლიდერთა სულისკვეთების გამომხატველი, ეს ძალიან კარგია, ღმერთმა ამრავლოს!

ფილხაზ მიხაელი – ერთობ კეთილშობილი კაცი – კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი და ფრიად პუნქტუალური, საჭირო წევრი გახლდათ. საღამოს გამართულ სხდომებზე ღამის პირველი მოდიოდა და გვიან ღამემდე იჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ლუდის მერიაში მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა.

კონგრესი რომ შეიქმნა, სოციალურ საკითხთა კომისიას ჩაუდგა სათავეში და არხეინად არ იყო – ცდილობდა კონგრესის სიკეთე ყველა სოციალურად დაუცველ ადამიანს ერთნაირად რგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ერთობ უსიამოვნო სიურპრიზი გველოდა თურმე: ისრაელში იმაზე გაცილებით მეტი სოციალურად დაუცველი ქართველი ებრაელი აღმოჩნდა, ვიდრე მიახლოებითი გაანგარიშებით ვვარაუდობდით. ეს ადამიანები არ ჩანდნენ, ან ქართული თავმოყვარეობა არ აძლევდათ უფლებას გაეცხადებინათ თავიანთი ოჯახური გასაჭირი. კონგრესის შექმნა კი ერთგვარ მაშველ რგოლად მიიჩნიეს და გასაჭირს აღარ მალავდნენ — იქნებ, რაიმე გვეშველოსო. მიშიკო მირილაშვილი ლამის გაოგნებული იყო იმის აღმოჩენით, რომ ისრაელში ამდენი ხელმოკლე ქართველი ებრაელი ყოფილა. არაერთხელ დაუჩივლია: „რა დღეშია, ბიჭო, ხალხი, რა არი ეს!“

ფილხაზ მიხაელი მუყაითად უძღვებოდა ამ საქმეს. იგი მიშიკოსადმი დიდი პატივისცემით, ყურადღებით გამოირჩეოდა.

ფილხაზის სიმამრი გახლავთ ერთ-ერთი ხელმომწერი იმ 18 ქართველი ებრაელის წერილისა, რომელიც 1969 წელს გაეროში გაიგზავნა. ამ თემაზე ჩვენ დოკუმენტური ფილმი გადავიღეთ. ერთ-ერთი პირველი, ვისთანაც გადამღები ჯგუფი მივიდა, ფილხაზ მიხაელის სიმამრი — ი. ელაშვილი იყო, რათა იმ თვრამეტიდან ერთ-ერთის საუბარი ჩაგვეწერა. ამ გადაღებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენი მამაცობა ახასიათებდათ იმ წერილზე ხელმომწერთ. მოგვხიბლა ამ რვა ათეულ წელს გადაცილებული კაცის მხნეობამ, ვაჟკაცურმა სულისკვეთებამ.

ფილხაზ მიხაელი გამორჩეულად თავმდაბალი ადამიანია, იგი არაერთხელ ყოფილა საქართველოში და მხიბლავდა მისი თავდაჭერილობა, ზოგიერთისაგან განსხვავებით ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის დიდ მოამაგედ კი არ მოჰქონდა თავი, არამედ იმად, ვინც არის – ერთი წესიერი, მშრომელი ქართველი ებრაელი, რომელიც საქართველოსადმი პატივისცემით, სიყვარულით გახლავთ გამსჭვალული.

თუ ფილხაზ მიხაელს ადრეც ვიცნობდი, აი, **იცხაკ გაგულა** კონგრესის მოსამზადებელ კომიტეტში გავიცანი. ყოველ შემთხვევაში მე არ მახსოვდა. თუმცა, სენაკიდან წასული ერთობ დადებითი პიროვნების — თალმიდ ხახმის აბრამ გაგულაშვილის შვილი გახლავთ, თავადაც სენაკში დაბადებული.

იცხაკ გაგულას მამა – ხახამ აბრამი შოხეტიც იყო. იგი სენაკში ჩვენს სახლში ეწეოდა შოხეტობას. ამისათვის მამაჩემმა ერთი ოთახი გამოუყო პირველ სართულზე, თავისუფალ დროს მე და ჩემს ძმას — მალხაზს ხშირად გვესაუბრებოდა ამა თუ იმ საკითხზე.

იცხაკი ისრაელის ქნესეთის წევრი გახლდათ და კონგრესის საპატიო ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. იგი დროდადრო ესწრებოდა გამგეობის სხდომას, მონაწილეობდა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში. იგი ერთობ გულღია, ალალ-მართალი კაცია. ადამიანებთან მისმა საქმიანმა ურთიერთობამ დამარწმუნა: ზოგიერთისათვის ალალ-მართლობა, გულწრფელობა, შინაგანი სიმართლე ღირსება არ არის. პოლიტიკაში ფეხჩადგმულ ადამიანებს იგი იმით აღიზიანებდა, რომ გადაასწრო—ქნესეთის წევრი გახდა, მე კი მხიბლავდა მისი გულწრფელობა. მ. მირილაშვილი დიდ პატივს სცემდა. ერთ დღეს ძალიან დაკავებული იყო, საქმეს ვერ აუდიოდა, მაგრამ ყველაფერი გადასდო: იცხაკ გაგულა აშდოდში იურიდიულ მოღვაწეობას იწყებს, ოფისს ხსნის, გველოდება აუცილებლად უნდა წავიდეთო. წავედით.

გამოხდა ხანი და ერთ-ერთ ქიფურში იცხაკი თბილისში ჩამოვიდა, ვგონებ, კონგრესმა მოავლინა, რათა აქ ლოცვა, რიტუალები ჩაეტარებინა. იცხაკი ძალიან სანდომიანად ლოცულობდა, მე მომხიბლა ლოცვის მისეულმა მანერამ.

(გაგრძელება იქნება)

ისრაელის სახელმწიფოს 65 წლისთავს მიეძღვნა



რუსთავის ხელოვნების სკოლაში (დირექტორი — ნ. მთიულიშვილი) ჩატარდა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მუსიკალური საღამო. საიუბილეო საღამოსათვის ისრაელიდან მოწვეულნი გახლდნენ ქართველი ებრაელი კომპოზიტორები: იოსებ ბარდანაშვილი და რუბენ კაჟილოტი.

რუბენ კაჟილოტს ისრაელში გამგზავრებამდე ამ სკოლასთან ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა. ამის თაობაზე ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა სკოლის საფორტეპიანო განყოფილების გამგემ ნანა მაჩაბელმა. მან ისიც მოაგონა დარბაზში შეკრებილთ, რომ ამ სკოლის მოსწავლეთა ძალებით დაიდგა რუბენ კაჟილოტის პირველი საბავშვო როკოპერა „ნახევარწიწილა“, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა და კომპოზიტორს როკოპერის პირველი შემსრულებლები, მაშინ ბავშვები, დღეს ქალბატონები, წარუდგინა.

ნანა მაჩაბელმა ვრცლად ისაუბრა იოსებ ბარდანაშვილისა და რუბენ კაჟილოტის შემოქმედებაზე.

უნდა აღინიშნოს სკოლის მოსწავლეთა მუსიკალური მომზადების მაღალი დონე (სასწავლო ნაწილის გამგე ლია მგალობლიშვილი).

საღამო ჩატარდა საქართველოში ისრაელის საელჩოს თანადგომით.

სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს რ. კაჟილოტისა და ი. ბარდანაშვილის საბავშვო მუსიკალური ნაწარმოებები.

საღამო-კონცერტს ესწრებოდა ისრაელის კონსული საქართველოში გერცელ მაიმონი, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა როგორც სკოლის ინიციატივას, აღნიშნოს ისრაელის სახელმწიფოებრიობის 65 წლისთავი, ასევე ბავშვთა მუსიკალური მომზადების დონეს.



გურამ ბათიაშვილი 75 წლისაა

ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავის პრეზიდენტი იოსეფ პატარკაციშვილი, გამგეობა, მთავარი რაბი აბრაჰამ აშვილი, რაბი აჰარონ ხენი, გაერთიანება „თარბუთის“ პრეზიდენტი ილია იოსებაშვილი და „დავითის ფარის“ რედაქტორი სიმონ კრიხელი ულოცავს ჩვენს ღირსულ და საამაყო თანამემამულეს, ცნობილ მწერალსა და დრამატურგს, საზოგადო მოღვაწეს, ბ-ნ **გურამ ბათიაშვილს** საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 75 წლის შესრულებას, აგრეთვე გაზეთ „მენორას“ 20 წლისთავს.

გურამ ბათიაშვილის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა მწერლის თხზულებათა ოთხტომეული.

პირველ ტომში შევიდა ორი რომანი „თუ დაგივიწყო, იერუსალაიმ!“ (1990წ.) და „მეათე კაცი“(1998წ), ასევე ორი რომანი შევიდა მწერლის თხზულებათა მეორე ტომში: „ჟამი დუმილისა და ჯამი უბნობისა“ (2007წ) და „ერთი, მხოლოდ ერთი!“ (2012წ.) მესამე ტომში შევიდა გ. ბათიაშვილის დრამატული თხზულებანი, პიესები: „ვალი“ (1978წ), „შეთქმულება“ (1982წ.), „თავდავიწყების თამაში უცხოთა ლოგინებში“ (1995წ), „დასაბამი“ (2006წ.) „სამეფოს გარდაცვალება“ (2009წ), „მოქმედი პირნი და შემსრულებელნი“(2011წ) და სხვ.

მეოთხე ტომში შევიდა მწერლის ჩანაწერების წიგნი „სახეები და სიტუაციები“ და „პოლემიკა“

წიგნის გამოცემა დააფინანსა ქ. თბილისის მერიამ.

5-7 მაისს ბუდაპეშტში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მე-14 გენერალური ასამბლეა.

მეკ-ი ჩამოყალიბდა 1936 წელს, როგორც მსოფლიოს ებრაელობის „დიპლომატიური მარჯვენა ხელი“, შუამავალი ებრაელობასა და სახელმწიფოთა მთავრობებს შორის. მეკ-ი გახლავთ საერთაშორისო ებრაული მეთაური ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში ერთობ გამორჩევით ღებულობს ებრაულ ორგანიზაციებს, ებრაელობით დასახლებულ სახელმწიფოებს. სადღეისოდ იგი აერთიანებს 125 ებრაულ ორგანიზაციას და თემს.

მეკ-ის გენერალური ასამბლეის (შტაბ-ბინა ნიუ-იორკში) სხდომები იერუსალიმში იმართება ხოლმე, მაგრამ ამჯერად, გენასამბლეა ბუდაპეშტში შეიკრიბა. ეს იმიტომ, რომ ყურადღება გაემახვილებინა უნგრეთში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მუსლიმური მოსახლეობის მომრავლების შედეგად გამოვლენილი ანტისემიტურუ აქტების მიმართ. ქ საგანგაშო გახლავთ ერთი გარემოება: უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში მანდატების 17% მოიპოვა მემარჯვენე პარტია „იობიკმა“. ეს პარტია ანტიისრაელური, ანტიებრაული აქტივობით ხასიათდება, ბუდაპეშტში გენერალური ასამბლეის დაწყების წინ საპროტესტო აქციაც კი მოეწყო. დემონსტრანტები ანტიისრაელური, ანტიებრაული მოწოდებებით გამოდიოდნენ. ამის გამო სასტუმროში, სადაც ასამბლეა მიმდინარეობდა, გაძლიერებული გახლდათ დაცვა.

ამ გარემოებით გახლდათ განპირობებული ის, რომ 5 მაისს გამართულ ვახშამზე უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ურბანმა თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა უნგრელი ხალხის ტრადიციულ დამოკიდებულებაზე ებრაელობის მიმართ.

კონგრესზე გახმიანებულ მოთხოვნაზე პარტია „იობიკის“ მიმართ მიღებული იქნას სამართლებრივი ზომები, ბ-ნმა ვ. ურბანმა გამოსთქვა ფრთხილი რწმენა, რომ პარტიის ქმედება კანონიერების ფარგლებში მოექცევა. ერთობ საყურადღებო გახლდათ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრიეს გვიდო ვესტერველეს გამოსვლა. მან ისაუბრა გერმანიის ურთიერთობაზე, ისრაელის ურთიერთობაზე, პალესტინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, ირანის ატომურ საფრთხეზე, იმ თანადგომაზე, რომელსაც დღევანდელი გერმანია იჩენს ისრაელის მიმართ. ისრაელის მთავრობის მინისტრმა სილვან შალომმა ყურადღება გაამახვილა ისრაელისა და დიასპორის ურთიერთობაზე.

გაიმართა კონგრესის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები. მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტად კვლავ არჩეული იქნა გამოჩენილი ებრაელი მოღვაწე, ბიზნესმენი, დიპლომატი (აშშ ყოფილი ელჩი ავსტრიაში) როლანდ ლაუდერი. კონგრესის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილ ბანკირთა ოჯახის წევრი დავიდ დე როტშილდი. მუშაობაში მონაწილეობდნენ: ა. ჯინჯიხაშვილი, ე. ბერკოვიჩი, გ. ბათიაშვილი.

კონგრესის ხაზინადარი გახდა ლათინური ამერიკის ებრაელ ბანკირთა ოჯახის

წარმომადგენელი ჩელლა საფრა. მეკ-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტად არჩეული იქნა რობერტ ზინგერი, რომელიც ადრე მსოფლიო ებრაულ საგანმანათლებლო სისტემას ხელმძღვანელობდა.

მწერალმა გურამ ბათიაშვილმა საქართველო, მისი ებრაელობა წარადგინა მსოფლიოს ებრაული კონგრესის შემადგენლობაში. აქ გამოყოფილ 5 ვაკანსიაზე ერთმანეთს ეცილებოდა შვიდი სახელმწიფო: საქართველო ჩეხეთთან, საბერძნეთთან, ყირგიზეთთან და ვენესუელასთან ერთად მიღებულ იქნა კონგრესის შემადგენლობაში.

მწერალი, დრამატურგი გ. ბათიაშვილი სხვა გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეებთან ერთად, გახდა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი – კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

აბიშაი ბათაშვილი

შაბათ ხაზონი

თიშყა ბეაბის წინა შაბათს „შაბათ ხაზონი“ („ხილვის შაბათი“) ეწოდება. ამის უბრალო მიზეზი ის არის, რომ ამ შაბათს აფთარაში წინასწარმეტყველ იეშყაიაჰუს წინასწარმეტყველებას კითხულობენ, რომელიც იწყება სიტყვებით: „ ხილვა იეშყაიაჰუსი, ძისა ამოცისა“, და წინასწარმეტყველებს ბეთ ჰამიკდაშის დანგრევაზე, რაც 9 აბის დღეს მოხდა. ამ შაბათის სახელის დამატებითი ახსნა მოყვანილია ბერდიჩეველი ცადიკის, რაბი იცხაკ ლევის სახელით, რომელიც განმარტავს, რომ სიტყვა „ხაზონ“ („ხილვა“) განიმარტება „ხედვა“-ს მნიშვნელობითაც. მას ამის შესახებ იგავი მოჰყავს მამაზე, რომელმაც თავის ვაჟიშვილს ახალი ტანსაცმელი უყიდა და გააფრთხილა არ დაესვარა ეს ახალი ტანსაცმელი, მაგრამ რადგან მისი ვაჟიშვილი ყმაწვილობის ასაკში იყო, ამხანაგებთან თამაშის ცდუნებას ვერ გაუძლო, გაჭუჭყიანდა და დახია ტანსაცმელი. მამამ ისევ უყიდა ვაჟიშვილს ახალი ტანსაცმელი და ისევ გააფრთხილა არ დაესვარა, მაგრამ ვერც ამჟამად გაუძლო მან ცდუნებას, პირობა ვერ შეასრულა, დაისვარა ტანსაცმელი და გააოხრა. მამამ ნახა რა, თუ როგორ იქცეოდა მისი ვაჟიშვილი, მესამედ უყიდა ტანსაცმელი, მაგრამ ამჯერად მას კი არ მისცა, არამედ თავისთან შეინახა. ხანდახან გამოიღებდა ხოლმე ამ ტანსაცმელს, აჩვენებდა თავის შვილს და ეუბნებოდა, რომ როდესაც წესიერად მოიქცეოდა, მისცემდა მას ამ ტანსაცმელს. იგავი აქ მთავრდება. რაბი იცხაკ ლევი კი განმარტავს, რომ ასე იყო პირველ ბეით ჰამიკდაშთან დაკავშირებით, რისი დანგრევაც ისრაელის შვილების ხელთუკუღმართმა საქმეებმა გამოიწვია. ცნობილია, რომ მაშინ ისრაელის ხალხმა შესცოდა ადამიანსა და კურთხეულ გამჩენს შორის ისეთი ცოდვების ჩადენით, როგორიც კურპთაყვანისმცემლობა და მსგავსი ცოდვები იყო. უფალმა მეორედ ააშენა ბეით ჰამიკდაში, და ისრაელის ხალხმა ისევ გააფუჭა ყველაფერი თავისი საქმიანობით, ამიტომ ისევ დაინგრა ბეით ჰამიკდაში, ამჯერად ადამიანსა და მის მეგობარს შორის შეცოდების გამო, როგორც წერია, რომ ამაო სიძულვილის გამო დაინგრა მეორე ბეით ჰ ამიკდაში. როგორც ცნობილია, „კამცას და ბარ კამცას“ ამბავი, რაც ბეით ჰამიკდაშის დანგრევამდე რამდენიმე წლით ადრე მოხდა: ერთმა მდიდარმა კაცმა მდიდრული ნადიმი გამართა თავისი მეგობრებისთვის. სხვათა შორის მან თავისი ახლო მეგობარი, „კამცაც“ მოიწვია, მაგრამ მოსამსახურემ, რომელიც თითოეულ მოწვეულთან პირადად იქნა გაგზავნილი, უხერხული შეცდომა დაუშვა და ნადიმზე მოსასვლელი პირადი მოსაწვევი კამცას ნაცვლად ბარ კამცამ მიიღო, რომელიც მდიდარს სულით ხორცამდე სძულდა.

ბარ კამცამ ირწმუნა, რომ მდიდარი მასთან შესარიგებელ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა. მან ეს შემთხვევა გამოიყენა და ნადიმზე დანიშნულ დროს მივიდა.

გაოგნებულმა მდიდარმა ბარ კამცა რომ დაინახა, თვალს არ დაუჯერა: „შენ ხომ ჩემი მოძულე ხარ, რისთვის მოხვედი, სიხარული რომ ჩამიშხამო? ახლავე აქედან გაეთრიე.“

მდიდრის სიძულვილის გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბარ კამცა ეძებდა საშუალებას მისი რისხვა რომ დაეცხრო: „სწორი ხარ: მაგრამ რახან მოვედი, ნუ გამაგდებ აქედან. ჩემი ფულით გადაგიხდი იმ საჭმელ-სასმელისთვის, რასაც შევჭამ და შევსვამ.“

მდიდარმა არ დაუთმო: „არა, ახლავე გადი აქედან“.

ბარ კამცა: „მთელი ნადიმის ღირებულების ნახევარს გადაგიხდი... ოღონდ არ შემარცხვინო“.

მდიდარი: „ლაპარაკი ზედმეტია!“

ბარ კამცა (ვედრებით): „მთელი ნადიმის საფასურს გადაგიხდი“.

(განრისხებულმა) მდიდარმა ხელი დაავლო ბარ კამცას და აბუჩად აგდებული სახლიდან გაგდო.

ბარ კამცა სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი გავიდა. ყველაზე მეტად იმან შეურაცხყო, რომ ნადიმზე რამდენიმე ბრძენი იჯდა და არც ერთმა საჭიროდ არ ჩასთვალა მისი პატივმოყვარეობა დაეცვა. წავალ და შურს ვიძიებ მათზე, ფიქრობდა თავისთვის.

თქვა და გააკეთა: ის რომში გაემგზავრა კეისართან. იქ დაასმინა, რომ ებრაელები მეფეს აუჯანყდნენო. „თუ ჩემი არ გჯერა“ - უთხრა ბარ კამცამ, მოდით, ცდა ჩავატაროთ: ბეით ჰამიკდაშში მსხვერპლად შესაწირად ცხოველი გამატანე. თუ ისინი ამ ცხოველის მსხვერპლად შეწირვაზე უარს განაცხადებენ, გეცოდინება, რომ აგიჯანყდნენ“.

მეფე დათანხმდა ამ მარტივი ცდის ჩატარებას. ცბიერმა ბარ კამცამ კი მყისვე ნაკლი დაადო ცხოველს. ეს მსუბუქი ნაკლი იყო, მაგრამ ებრაული ჰალახის წესების მიხედვით არ შეიძლებოდა ნაკლის მქონე ცხოველის სამსხვერპლოზე შეწირვა.

ბრძენებს, რომლებმაც ამ ცხოველს წააწყდნენ, მეფისთვის სიამოვნების მოგვრა სურდათ: „ მოდით, მსხვერპლად შევწიროთ ეს ცხოველი“ - უთხრეს ერთმანეთს.

მათ შორის ერთი ბრძენი იყო, სახელად რაბი ზახარია ბენ ავკილესი, რომელმაც დანარჩენ ბრძენებს უთხრა: „თუ ამას გააკეთებთ, ყველა იფიქრებს, რომ ნაკლის მქონე ცხოველის სამსხვერპლოზე მსხვერპლად შეწირვა დაშვებულია “.

„თუ ასეა, მაშინ მოდით, მოვკლათ ბარ კამცა, რომ ვეღარ შესძლოს მეფესთან დაბრუნება და ჩვენი დაბეზღება“.

მაგრამ ისევ შეაჩერა ისინი ზახარიამ: „ამას თუ გააკეთებთ, იტყვიან, რომ ვინც ნაკლი დაადო მსხვერპლს, მოკლულ იქნება“.

დაბრუნდა ბარ კამცა მეფესთან და ყველაფერი მოახსენა. დანარჩენი კი ისტორიაა.

მოდით, ისევ დავუბრუნდეთ რაბი იცხაკ ლევის განმარტებას, რომ კურთხეული უფალი ბეით ჰამიკდაშს ისე აშენებს, როგორც უზენაეს სამყაროებშია, მაგრამ არ გვაძლევს ჩვენ, და მხოლოდ ამ შაბათს „ხილვის შაბათს“ გვიჩვენებს. ესე იგი, ამ შაბათს თითოეულ სულიერს გვიჩვენებენ ბეით ჰამიკდაშს და გვეუბნებიან, რომ თუ ღირსეულად მოვიქცევით, უფალი ბეით ჰამიკდაშს ამ მატერიალურ სამყაროში აგვაშენებს. იყოს სურვილი უფლისა, რომ ჭეშმარიტად პატივი ვცეთ ერთმანეთს და როგორც წერია: ამაო სიყვარულის გამო აშენდება ბეით ჰამიკდაში და სულ ახლო მომავალში მობრძანდება მაშიახი, ამენ.

რატომ არის 9 აბი – წელს 16 ივლისი — მწუხარების დღე

ბრძენნი გვიმბობენ ხუთ ტრაგიკულ ამბავს, რომელიც აბის თვის 9 რიცხვში მოხდა:

ამ დღეს ეგვიპტიდან გამოსულ თაობას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს: ყოველი მათგანი უდაბნოში უნდა გარდაცვლილიყო, არც ერთი მათგანი არ უნდა შესულიყო ისრაელის ქვეყანაში. თორაში ნათქვამია, რომ ეს მკაცრი განაჩენი ებრაელებმა სულმოკლეობით დაიმსახურეს: როდესაც, აღთქმული მიწის საზღვრებს მიუახლოვდნენ, თაობის მამაკაცებს აღთქმული ჰქონდათ იმ საზღვრის გადაკვეთა, რისთვისაც მათ მამებს სიმამაცე არ ეყოთ.

ამ დღეს – ძველ წ.აღ 586 წ. დაინგრა პირველი ტაძარი.

ამ დღეს – ახალი წ. აღ-ის 70 წ. დაინგრა მეორე ტაძარი.

ამ დღეს – 135 წ. რომაელებმა დაიპყრეს ბეითარის ციხე-სიმაგრე–ბარ-კოხბას ანტირომაული აჯანყების უკანასკნელი საყრდენი.

ამ დღეს იერუსალიმი გუთნით გადახნეს, ახდა წინასწარმეტყველება: „სიონი გადახნული იქნება“.

ებრაელთა შემდეგი ისტორია აგრეთვე სავსეა აბის მეცხრე დღეს მომხდარი ტრაგიკული ამბებით.

ამ დღეს – 1290 წელს ებრაელები განდევნეს ინგლისიდან.

ამ დღეს – 1492 წელს ებრაელები განდევნეს ესპანეთიდან.

ამ დღეს – 1555 წელს რომის ებრაული თემი გეტოში გამოამწყვდიეს.

ამ დღეს – 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ებრაელ ერს, უამრავი უბედურება მოუტანა.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

საბავშვო ბაღი „შალომ, სეზამი“
2013-2014 წლისათვის
აცხადებს 3,5 წლის ასაკიდან
ბავშვების მიღებას

ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდიკას.

პროგრამაშია:
— ებრაული აღზრდა (რელიგიისა და ტრადიციების საფუძვლები),
— მუსიკა,
— სიმღერა,
— ცეკვა,
— ივრითი
— ინგლისური ენა,
— ექსკურსიები,
— საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება.

საბავშვო ბაღი მუშაობს ყოველდღე (შაბათ - კვირის გარდა) 10:00-დან 17:00 საათამდე.

ზამთრის პერიოდში შენობა თბება.
გათვალისწინებულია ქაშერი კვება.

ცნობებისათვის მიმართეთ:
ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართული.

საკონტაქტო ტელეფონებია:
2157035, 2770653, 2772311(დამატ. 230), 555 519733

„ოცნების ექიმები“ საქართველოში

ისრაელის დამოუკიდებლობის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, ისრაელის საელჩომ საქართველოში, საქველმოქმედო სოციალური აქცია ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც, ისრაელიდან საქართველოს საბავშვო სამედიცინო დაწესებულებებს სამი დღით სამედიცინო კლოუნები ესტუმრნენ.

ისრაელის სამედიცინო კლოუნების ორგანიზაციას, რომელიც 2002 წელს დაარსდა, „ოცნების ექიმები“ ჰქვია. თავდაპირველად ორგანიზაციაში მხოლოდ 3 წევრი იყო, დღეს კი 70–მდე „ოცნების ექიმი“ მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს და სამედიცინო დაწესებულებების შტატში არის ინტეგრირებული. ისინი არტ–თერაპევტები და მსახიობები არიან. სამედიცინო კლოუნები პაციენტებსა და მათ ოჯახებს მკურნალობისა და რეაბილიტაციის მტკივნეული პროცესის შემსუბუქებაში ეხმარებიან და მთელს მსოფლიოში გამოცდილების გასაზიარებლად მოგზაურობენ.

სამედიცინო კლოუნების იდეა წამოვიდა საფრანგეთიდან. 1982 წელს კი ნიუ-იორკში საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი ამ იდეას. ისრაელმა ეს პრაქტიკა მოგვიანებით გადმოიღო, თუმცა, მათ ჰყავთ ძალიან დიდი შტატი და, რაც მთავარია, ისრაელში სამედიცინო კლოუნები ინტეგრირებულნი არიან შტატში, ისინი ჩვეულებრივ მუშაობენ საავადმყოფოებში და არანაირი დისტანცია მკურნალ ექიმებსა და არტ-თერაპევტებს შორის არ არის.

„ოცნების ექიმები“-ს ორი წარმომადგენელი რენანა ლოტე და ნოამ ინბარი საქართველოს 3 დღით ეწვივნენ. პირველი დღე მათ იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში გაატარეს, 18 ივნისს კლინიკა „Life Med“, ხოლო ბოლო მესამე დღეს ისინი აუტიზმით დაავადებული ბავშვების დღის ცენტრს ესტუმრნენ. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც მოხალისეებად სამივე დღეს ჩართულნი იყვნენ აქციაში.

18 ივნისს კლინიკა „Life Med“ -ში გაიმართა პრეს კონფერენცია ისრაელიდან ჩამოსულ სამედიცინო კლოუნებთან. კონფერენციას ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი იუვალ ფუქსიც დაესწრო, რომელმაც განაცხადა:

„წელს აღინიშნება ისრაელის დამოუკიდებლობის 65-ე წლისთავი. ვფიქრობდით-რა ღონისძიებები ჩაგვეტარებინა, საჭირო იყო ოფიციალური მიღება, რომელიც გაიმართა გასულ კვირას, იყო რამდენიმე კულტურული პროგრამა სტუდენტური ფილმების ფესტივალი, ისრაელის კინოს დღეები, მოეწყო რამდენიმე გამოფენა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა შევხებოდით სოციალურ თემას. დეკემბერში ვიყავით ამ ცენტრში, გავიცანით ბავშვები და გადავწყვიტეთ „ოცნების ექიმები“, სამედიცინო კლოუნები ჩამოგვეყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხალხის ურთიერთობა, შესაბამისად ეს არის ეგრეთ წოდებული „people to people“ სახალხო პოლიტიკის ნაწილი. როდესაც ადამიანებს ესმით ერთმანეთის, იქ გამოდის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთობაც“.

„ოცნების ექიმებმა“ ისაუბრეს ამგვარი მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, მსგავსი მკურნალობის შედეგად პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ სურთ, სამედიცინო სფერო დაარწმუნონ ამ ორგანიზაციის ეფექტურობაში, რომ ეს არის პროფესია, რომელსაც მოაქვს შედეგი.

ისრაელის საელჩოს პროექტში აქტიურად ჰყავდა ჩართული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო, „ოცნების ექიმები“ სხვა ქვეყნებში: კანადაში, კამერუნში, ეთიოპიაში, გვატემალაში, ესპანეთში მოგზაურობენ. ჯერჯერობით არცერთ ქვეყანასთან არ არის შექმნილი თანამშრომლობის ჯგუფი, თუმცა რენანა ლოტემ გამოთქვა იმედი, რომ საქართველოში ეს გამოვა, და თუ იქნება მთავრობის მხრიდან კეთილი ნება თანამშრომლობაზე, ისინი მიესალმებიან ამ ინიციატივას.

ძალიან ძნელი გამოდგა იმასთან შეგუება, რომ ყოველ დილით შენთვის ჩვეული ღიმილით სიმშვიდესა და სიხარულს არ მოგვფენ.

ძალიან გრძელი, მტანჯველი აღმოჩნდა ის ერთი წელიწადი, რაც შენ წახვედი, წახვედი ისე, რომ არც შვილს გამოეთხოვე, არც — მეუღლეს, არც დედას, არც — მამას — ყველა დატოვე უნუგეშოდ, ბებია, ბაბუა, სიმამრი — სიდედრი, მაგრამ შენ მაინც ჩვენთან ხარ, მთელი წლის განმავლობაში ერთი წუთიც კი არ გვიცხოვრია უშენოდ.

თუ ციოდა, შენს გათბობას ვცდილობდით, თუ ცხელოდა, გვეწადა კარგად გეგრძნო თავი, გვეწადა, მაგრამ...

დღითიდღე გვშორდები, დღითიდღე იმკვიდრებ ადგილს ჩვენთვის შორეულ სამყაროში.

ყოველი ჩვენგანისთვის ეს იყო უმძიმესი, მტანჯველი წელიწადი.

აწ კი შვილის, მეუღლის, მშობლებისადმი კეთილი ზრახვებით გვამხნევებდე მაგ შორეული სამყაროდან, რომელიც ჩვენთვის ყოველდღიურობა გახდა.

თურქეთის ხელისუფლებამ არეულობაში ებრაული დიასპორა დაადანაშაულა

მასიური არეულობები თურქეთში ორგანიზებული იყო უცხოური ძალებისა და ებრაული დიასპორის მიერ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ამ ქვეყნის წარმატებულ განვითარებას. ასეთი განცხადება გააკეთა 2 ივლისს თურქეთის მთავრობის ვიცე- პრემიერმა ბეშირ ათალაიმ.

„არიან ადამიანები, რომლებიც ეჭვობენ თურქეთის წარმატებულ განვითარებას და ისინი იკრიბებიან ერთად, მათ შორის ებრაული დიასპორა“, — განაცხადა ბეშირ ათალაიამ.

ვიცე-პრემიერის თქმით, მიუხედავად ყველა ძალისხმევისა, მათ ეს არ გამოუვიდათ, რადგან ხალხი ყველაფერს ხვდება, თუმცა, ამავე დროს ასეთი გზით ებრაულ დიასპორას შეუძლია გავლენა მოახდინოს მასობრივი საპროტესტო აქციების წარმოქმნასა და ექსკალაციაზე.

ეს განცხადება, გაკეთებულია ერთ-ერთი რეგიონალური ოფისის სხდომაზე, ამან გამოიწვია „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ შეშფოთება, რომლის წევრი არის 23000 ებრაული დიასპორის წარმომადგენელი თურქეთში. ებრაულმა დიასპორამ თურქეთში გააკეთა ოფიციალური განცხადება ათალაიას სიტყვებთან დაკავშირებით. პრესრელიზში ნათქვამია, რომ ებრაული დიასპორა აგროვებს ინფორმაციას, რეალურად რა ჰქონდა ათალაის მხედველობაში.

მანამდე, პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა არეულობებში დაადანაშაულა უცხო მთავრობები „საერთაშორისო ფინანსისტთა ლობი“ და ტერორისტები.

რისხვითა და აღშფოთებით ისაუბრა ათალაიას ანტისემიტურ გამოსვლებზე ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა რონ ლაუდერმა. ის დაუყონებლივ ითხოვდა ბოდიშის მოხდას ათალაიასგან.

თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბეშირ ათალაიამ უარყო, რომ მან ებრაელებს დააკისრა პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებულ არეულობაზე. მისი განცხადებით, ჟურნალისტებმა განზრახ დაამახინჯეს მისი განცხადება. „მე ყოველთვის ძალიან ფრთხილად ვარჩევ სიტყვებს და განზრახ არ გავაკეთებდი ამ განცხადებას ებრაელებთან მიმართებაში“, — განაცხადა ათალაიამ.

5 ივნისს, სანკტ-პეტერბურგში, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა ქუთაისის ქართული ებრაული თემის ღირსეული წინაპრის, ღირსეული შთამომავალი



მიხეილ (მიშა) იოსების ძე ბუზიაშვილი

გიგონებთ, ან რა დაგვავიწყებს შენ თავს ძვირფასო მამა, მოამაგე ძმავ, მოსიყვარულე მამამთილო, მზრუნველო სიმამრო, ყველასთვის უერთგულესო მეგობარო!..

გვხიბლავდა შენი უზომო სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი გულისხმიერება და თავაზიანობა ყველას მიმართ. გვაჯადოებდა შენი კეთილგანწყობა და თავდადება არჩეული პროფესიისადმი. გვნუსხავდა შენი განსწავლულობა, სულიერი სინატიფე, ასე საოცრად რომ ერწყმოდა შენს სისადავეს.

ირგვლივ მყოფნი, ვამაყობდით, რომ შენ ებრაელთა ამტანობისა და გამტანობის ნიმუშად მიგიჩნევდნენ.

ვაგლახ... შენ აღარ გვყავხარ... და ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენს საკუთარ სულებში, ერთმანეთის სულებში ვეძიოთ, ვიპოვოთ, ნამცეც-ნამცეც დავაგროვოთ და ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს გადავცეთ შენი ნათელი და ღამაზი სულის ანარეკლი, რათა მიხეილ ბუზიაშვილის ცხოვრების მუსიკა არ დადუმდეს...

შვილები: როზა, სოსო ბუზიაშვილები,
და ვიოლეტა ბუზიაშვილი,
სიძე მიშა მოშიაშვილი,
რძალი ტანია ეფიმოვა

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003